პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (9526) | ორშაბათი, 9 მარტი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი მწუხარებით ემშვიდობება თავის ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში 1953 წლის 6 მარტს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგ ი. ბ. სტალინის კუბოსთან.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიის გარშემო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა უმძიმესი დანაკლისი განიცადეს. შეწყდა ლენინის თანამებრძოლისა და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გულისცემა.

სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენი სამშობლოს ადამიანთა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში. ეს სახელი გამოხატავს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის სიდიადეს და მოგვიწოდებს ხალხთა ნთელი მომავლისათვის საბრძოლველად.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა მთელი თავისი სახელოვანი, გმირული შრომითა და გმირული საქმეებით აღსავსე ცხოვრება მოახმარა მუშათა კლასის საქმისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლას.

„ჩემს სიცოცხლეს უმიზნოდ ჩავთვლიდი, რომ ჟოველი ნაბიჯი ჩემს მუშაობაში მუშათა კლასის ამაღლებისა და ამ კლასის სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის — მიმართული არ იყოს მუშათა კლასის მდგომარეობის განმტკიცებისა და გაუმჯობესებისაკენ", — ამბობდა ამხანაგი სტალინი.

ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა კომუნისტების მძლავრი პარტია, აღზარდა და გამოაწრთო იგი მშრომელთა განთავისუფლებისათვის სასტიკ ბრძოლებში, იგი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისჩამდგმელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი. განაგრძობდა რა ლენინის უკვდავ საქმეს, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა სსრ კავშირში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩვენმა ხალხმა დაიცვა თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში, იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

ომისშემდგომ პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანეს და დარაზმეს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის საბრძოლველად. ომის შემდეგ საბჭოთა ადამიანებმა მოკლე ვადაში აღადგინეს დანგრეული მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა და უზრუნველყეს ომამდელი დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგში.

ჩვენი პარტიის უდიდესი ძალა ის არის, რომ იგი მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური თეორიით. ლენინურ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, თეორიულად ავითარებდა და ამდიდრებდა რა მარქსიზმ-ლენინიზმს, ამხანაგმა სტალინმა განაზოგადა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილება, შეაიარაღა პარტია და მთელი ხალხი კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი და ნათელი პროგრამით. მარქსისტულ-ლენინური თეორიისათვის, მთელი ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაწარმოებს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ სტალინური მეცნიერებით, XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის ხალხს სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მხურვალედ უყვარს იგი, რადგან ღრმად დარწმუნებულია, რომ პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლეს კანონს წარმოადგენს ხალხის ინტერესებისათვის სამსახური.

მუშებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა ინტელიგენტებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელმა იციან, რომ პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა ადამიანების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებისათვის. მათ იციან, რომ პარტია ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და დაზვერვის ორგანოებს, რათა მუდამ მზად ვიყოთ გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ აგრესორს. მათ იციან, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის საგარეო პოლიტიკა იყო და არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევი პოლიტიკა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული საბჭოთა კავშირის ხალხები განამტკიცებენ და ავითარებენ ძმურ მეგობრობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებთან, მეგობრულ ურთიერთობას კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მშრომელებთან, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის.

ამ გლოვის დღეებში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმება ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და აღზრდილი კომუნისტური პარტიის გარშემო.

საბჭოთა ხალხი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ამხანაგ სტალინის მიერ აღზრდილი მისი ერთგული მოწაფეები და თანამებრძოლები უთუოდ უზრუნველყოფენ ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას, როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, ისე საერთაშორისო საქმეებშიც. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იმარჯვებდა, იმარჯვებს და კვლავაც გაიმარჯვებს, რადგან იგი სისხლხორცეულად დაკავშირებულია მშრომელთა ფართო მასებთან.

ჩვენი პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობაა მისი რიგების ფოლადისებური ერთიანობა და მონოლითური დარაზმულობა. ამოცანა ის არის, რომ თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ პარტიის ერთიანობას, აღვზარდოთ კომუნისტები როგორც აქტიური პოლიტიკური მებრძოლები პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის კავშირი ყველა მშრომელთან, მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან. საჭიროა კომუნისტები და ყველა მშრომელი აღვზარდოთ მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხები მტკიცე რწმენით აშენებენ კომუნიზმის დიდებულ შენობას.

„მსოფლიოში არ მოიპოვება იესეთი ძალები, — თქვა პარტიის XIX ყრილობაზე ამხ. გ. მ. მალენკოვმა, — **რომელთაც შეეძლოთ შეაჩერონ საბჭოთა საზოგადოების წინსვლა. ჩვენი საძმე უძლეველია. საჭიროა მტკიცედ გვეჭიროს ხაჯე და მივდიოდეთ ჩვენი გზით იხე, რომ ვერ შეგვაფერხოს ვერც პროვოკაციებმა, ვერც დაშინებამ".**

ჩვენს ქვეყანაში პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის საჯე საიმედო ხელშია, დიდი სტალინის ერთგული მოწაფეებისა და თანამებრძოლების ხელშია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის პასუხად პარტია და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, რაზმავენ მთელ თავიანთ ძალებს და შემოქმედებითს ენერგიას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი საქმისათვის.

„პრავდის" 8/III მოწინავე.

დიდი ბელადის კუბოსთან

მესამე დღეა, რაც დღისითაც და ღამითაც მოედინება ხალხის ნაკადი კავშირთა სახლის სვეტებიანი დარბაზისაკენ. არა მარტო მოსკოველები, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი საბჭოთა სამშობლო, მისი ყველა მხარის, ოლქისა და რესპუბლიკის წარმომადგენელები მიდიან კუბოს წინ. მოსკოვს ჩამოვიდნენ ყველა საბჭოთა ხალხის წარმომადგენელნი, ჩამოვიდნენ თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს ყველა კუთხიდან წარმოგზავნილნი, რათა უკანასკნელი ვალი მოიხადონ და უკანასკნელად პატივი სცენ ხალხის ბედნიერების შემოქმედს. ყოველ დელეგაციას მოაქვს გვირგვინი. უკვე უთვალავი გვირგვინია. მათ ვერ იტევს არა თუ სვეტებიანი დარბაზი, არამედ კავშირთა სახლის ყველა შენობა. ახლა გვირგვინები დაწყობილია მინისტრთა საბჭოს სახლის გასწვრივაც თვით გორკის ქუჩამდე. გვირგვინები შემოვლებული აქვს ისტორიის მუზეუმის შენობას...

შემცირდა საპატიო ყარაულის ცვლათა ინტერვალი. საპატიო სამგლოვიარო ვახტი ახლა იცვლება ყოველ 2-3 წუთში: ბევრია, ძალიან ბევრია ხალხი, რომელსაც სურს ასე სცეს პატივი ამხანაგ სტალინს.

მესამე დღის დამდეგს ბელადის კუბოსთან საპატიო ვახტზე დგანან უკრაინელი ხალხის წარმომადგენელნი — დონეცის ბასეინისა და კრივოიროგის მაღაროელები, დნეპროპეტროვსკის მეტალურგები, კიევის, კრამატორსკის, ხარკოვის მანქანათმშენებლები, წარჩინებული კოლმეურნე მეჭარხლეები და სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, რესპუბლიკის ხელმძღვანელნი, მწერლები, ხელოვნების ოსტატები, საბჭოთა არმიის მეომრები. საბჭოთა უკრაინის ხალხი უკანასკნელ ვალს იხდის იმ ადამიანის წინაშე, ვისაც იგი უნდა უმადლოდეს თავის ბედნიერებას, თავის აყვავებას.

კუბოს წინ მიდიან სტალინგრადელები — გმირი ქალაქის, კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა ქალაქის წარმომადგენელნი, ვოლგის ამ ციხესიმაგრის კედლებთან დიდი ბელადის ხელმძღვანელობით ორჯერ იგერეს გამანადგურებელი დარტყმა ჩვენი სამშობლოს მოსისხლე მტრებმა. აქ ლეგენდარული ბრძოლის შემდეგ დაიწყო გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება. ბელადთან გამოსათხოვებლად მოვიდნენ ახალგაზრდა სტალინგრადელი მშენებლები, მოვიდნენ ძველი კადრის მუშები, რომლებმაც ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით დიაცვეს ქალაქი ორ ომში. ისინი მოვიდნენ, რომ თქვან: სტალინგრადი იყო, არის და იქნება კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ბასტიონი.

აი კუზნეცკის ბასეინის — სტალინური კუზბასის მეშახტეთა დელეგაცია, კუზბასისა, რომელიც ბელადის გენიალური შთანაფიქრით აღორძინდა და აყვავდა.

ციმბირელების შემდეგ მოვიდნენ აზერბაიჯანის წარმომადგენელნი, რომლებიც ეს-ეს არის ჩამოვიდნენ ბაქოდან. ბაქოს პროლეტარიატი ამაყობს, რომ ჯერ კიდევ 45 წლის წინათ რეაქციის შავბნელ ღამეში ამხანაგმა სტალინმა დარაზმა იგი და წაიყვანა მუშათა საქმისათვის საბრძოლველად. ჯერ კიდევ მაშინ შექმნა და გამოზარდა დიდმა ბელადმა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი რაზმი.

რიგიდან, ვილნიუსიდან, ტალინიდან ჩამოვიდნენ ბალტიისპირა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა წარმომადგენელნი. მათ თან მოიტანეს ცოცხალი ყვავილების ვეებერთელა გვირგვინები, მოიტანეს დიდი სიყვარული იმისადმი, ვინც ახალი ცხოვრების ბედნიერება მიანიჭა მათ.

ბელადის კუბოს წინ სამგლოვიარო დუმილით მიდიან ინდუსტრიული ურალის წარმომადგენელნი — სვერდლოვსკის, მოლოტოვის, ჩელიაბინსკის ოლქების მშრომელთა დელეგაციები. საბჭოთა ხალხს ახსოვს ურალელთა ფიცი, რომელიც მათ მისცეს ბელადს თავიანთ წერილებში დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. ღირსეულად, როგორც შეფერის ადამიანებს, რომლებმაც გაიარეს ლენინისა და სტალინის სკოლა, შეასრულეს მაშინ მათ მიცემული ფიცი, საბჭოთა არმიის მძლავრ არსენალად გადააქციეს თავიანთი მხარე.

ამ გლოვის დღეებში ურალის მშრომელნი თავიანთ მიტინგებზე, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უპასუხებენ რა პარტიისა და მთავრობის მოწოდებას, იძლევიან წმიდა ფიცს: კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ თავიანთი რიგები პარტიის გარშემო, მისი ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, არ დაზოგონ ძალღონე და შრომა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

მწუხარე დუმილით მიდიან ადამიანები სვეტებიან დარბაზში. ზევით აწეული მოაქვთ ახალი გვირგვინები. მოდიან ბელორუსი ხალხის წარმომადგენელნი — ბელორუსიის მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია.

მოდის დიდი ოქტომბრის აკვნის — ლენინგრადის მშრომელთა დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან ოქტომბრის ძლევამოსილი აჯანყების ვეტერანები და სამამულო ომის დღეებში ქალაქის დაცვის გმირები, ახალგაზრდა მუშები და კულტურის ოსტატები, ქალაქისა და ოლქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელნი. ლენინგრადელებს მოაქვთ მრავალი გვირგვინი გმირი ქალაქის მშრომელებისაგან, ქალაქისა. საიდანაც ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ პარტიას, როცა ოქტომბრის იერიშისათვის ამზადებდნენ მას.

დაუსრულებლად მოედინება ადამიანთა ნაკადი. ქუდმოხდილი, წყნარად, სამგლოვიარო დუმილით მიდიან რუსები და უკრაინელები, ბელორუსები და ქართველები, უზბახები და აზერბაიჯანელები, ლატვიელები და ყირგიზები, საბჭოთა ქვეყნის ყველა სოციალისტური ერის, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლები. ამ დღეებში მეგობრულ სტალინურ ოჯახად გაერთიანებული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ფიცს დებს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმოს თავისი რიგები კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გამოიჩინოს სულის სიმტკიცე და სიფხიზლე, მოახდინოს მთელი ძალებისა და ენერგიის მობილიზაცია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

დარბაზში შემოდიან საქართველოს სსრ, ყველა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის სამშობლოს — ქალაქ გორის დელეგაციები. ცოცხალი ყვავილების, მაგნოლიის, ალისფერი მიხაკის ვეებერთელა გვირგვინების წითელ ლენტებს რუსულ და ქართულ ენაზე აწერია მხურვალედ საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის უკვდავი სახელი.

მოდიან ჩუვაშეთის, აჭარის, თათრეთის ავტონომიური რესპუბლიკების დელეგაციები, ტუვის ხალხის, ჩრდილოეთ ოსეთის, ბურიათ-მონღოლეთის, უდმურტეთის და კომის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენლები. ამ რესპუბლიკების ხალხთა გულში ცოცხლობს და მუდამ იცოცხლებს დიდი მადლობა იმისადმი, ვინც წინათ ჩამორჩენილი და ტანჯული ხალხები უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა.

საპატიო ყარაულში დგანან სახელგანთქმული სტალინური მხედართმთავრები, საბჭოთა კავშირის მარშლები ა. მ. ვასილევსკი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ა. გოვოროვი, ი. ს. კონევი, ს. მ. ბუდიონი, კ. ა. მერეცკოვი, ვ. დ. სოკოლოვსკი, რ. ი. მალინოვსკი. მათ ცვლიან ბავშვები — მოსკოველი ნორჩი პიონერები. მათ შორის არის პატარა მოსწავლე ირა მელნიკოვა, რომელმაც ორი წლის წინათ საპირველმაისო პარადზე ყვავილები მიართვა ამხანაგ სტალინს.

დიდ ბელადს მამობრივი სინაზით უყვარდა ბავშვები, ზრუნავდა მათი ბედნიერებისათვის. ბავშვებმა ჩაიარეს კუბოს წინ პიონერული სალუტით. ისინი ცოცხალ ყვავილებს აწყობენ კუბოსთან.

სამგლოვიარო ვახტზე დგებიან ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი.

სამგლოვიარო მსვლელობა გრძელდება. ამხანაგ სტალინის კუბოს წინ მიდიან უცხოეთის ქვეყნების ხალხთა წარმომადგენლები.

მიდიან დიდი ჩინელი ხალხის წარმომადგენლები, ხალხისა, რომელიც მტკიცე ურღვევი მეგობრობით არის დაკავშირებული დიდ საბჭოთა ხალხთან, მიდიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის, თურქეთის, ირანის, საბერძნეთის, ინდოეთის, ავსტრიის, სირიისა და ლიბანის, ინდონეზიის, მალაის, პაკისტანის, ურუგვაის, კოლუმბიის, იაპონიის, ფინეთის კომპარტიების წარმომადგენლები.

კუბოსთან მიტანილ ერთ-ერთ გვირგვინს ჩინურ და რუსულ ენაზე აწერია: „სამარადისო დიდება დიდ ამხანაგ სტალინს". მეორე გვირგვინს აწერია: „უსაზღვროდ ერთგული და მადლიერი მოწაფის მორის ტორეზისაგან". გვირგვინები მოაქვთ ინდოეთის, ტაილანდის, ინდონეზიის კომუნისტური პარტიების ცენტრალური კომიტეტებისაგან, იაპონიის, საბერძნეთის კომუნისტური პარტიებისაგან.

კუბოს ამკობენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს და პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გვირგვინებით.

მოაქვთ გვირგვინები მოსკოვის დიპლომატიური კორპუსისაგან, ბირმის კავშირისაგან, ფინეთის პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოსაგან.

იცვლება საპატიო ყარაული. მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელებთან ერთად სამგლოვიარო ვახტზე დგებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთავრობათა მეთაურები, მათი დელეგაციების წევრები, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

კომისია აცნობებს მშრომელებს, რომ წითელ მოედანზე მავზოლეუმში შესვლის დღის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

დიდი ბელადის კუბოსთან

(დასასრული)

საპატიო ყარაულში დგანან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბოლესლავ ბერუტი, პოლონეთის მარშალი როკოსოვსკი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მატიას რაკოში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი ვალტერ ულბრიხტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტვოლი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ცედენბალი.

საპატიო სამგლოვიარო ვახტაზე დგებიან იტალიელი ხალხის ბელადი პალმირო ტოლიატი, ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დოლორეს იბარური, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი პარი პოლიტი, ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე კოპლენიგი, ფინეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ვილე პესი, იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანი პიეტრო ნენი.

ი. ბ. სტალინის კუბოს წინ ჩაიარეს ფინეთის, ავსტრიის მთავრობათა დელეგაციებმა, მთელი რიგი ქვეყნების ელჩებმა.

შუაღამეა. ხალხის ნაკადი არ კლებულობს. ბელადის კუბოსთან სამგლოვიარო ვახტზე დგანან შავი მეტალურგიის მინისტრი ამხ. თევოსიანი, ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ამხ. ზასიადკო, გზათა მინისტრი ამხ. ბეშჩევი, მწერლები ფედინი, შოლოხოვი, მიხალკოვი, ტიხონოვი, ლ. ლეონოვი, ფ. გლადკოვი, ვირტა, ვერშიგორა, სსრ კავშირის სახალხო არტისტები კოზლოვსკი, რაიზენი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი შვერნიკი, იოსებ ბესარიონის-ძის ნათესავები და ახლობლები.

დარბაზში შემოდიან ახალ-ახალი დელეგაციები. შემოაქვთ გვირგვინები იტალიის კომპარტიისა და იტალიის სოციალისტური პარტიისაგან, იტალიის ქალთა კავშირისაგან...

ღამის 2 საათია. საპატიო ყარაულში დგებიან ამხანაგები: გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, მ. ზ. საბაროვი, მ. გ. პერვუხინი.

საპატიო ყარაულში დგანან ამხანაგები ნ. მ. შვერნიკი, მ. ა. სუსლოვი, პ. კ. პონომარენკო, ნ. ა. მიხაილოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. მ. ვასილევსკი, გ. კ. ჟუკოვი.

2 საათი და 30 წუთია. კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესვლა წყდება. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამენ უკრაინელი ხალხის უდიდეს მწუხარებას იმ უმძიმესი უბედურების გამო, რაც თავს დაატყდა პარტიასა და ხალხს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

დიდ ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა და გამოზარდა ძლიერი და უძლეველი კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირისა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში განმტკიცდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, გამოიჭედა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ძმობა.

ყველა გამარჯვება და წარმატება საბჭოთა უკრაინისა, რომელიც მძლავრი საბჭოთა კავშირის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა შექმნა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ახორციელებდა რა სტალინურ ხუთწლედებს, საბჭოთა უკრაინა გაიზარდა აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. ასრულდა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი ნატვრა მთელი უკრაინული მიწაწყალის გაერთიანების შესახებ. ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად უკრაინელი ხალხი მიდის წინ კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებისაკენ.

ამ გლოვის დღეებში საბჭოთა უკრაინის კომუნისტები და ყველა მშრომელი გამოთქვამენ უსაზღვრო ერთგულებას და მხურვალე სიყვარულს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი და კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს მისი ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. ლენინ — სტალინის ყოვლისმძლე იდეებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი, განამტკიცებს რა ერთიანობას, იჩენს რა სულის სიმტკიცეს, აძლიერებს რა პოლიტიკურ სიფხიზლეს და შეურიგებლობას მტრებთან ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი პირობას აძლევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ საბჭოთა უკრაინის მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გაორკეცებული ენერგიით დარაზმავენ თავიანთ ძალებსა და ნებისყოფას ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის, მშობლიური მამისა და მეგობრის დიდებული და ძვირფასი სახე კვლავაც იქნება კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მძლავრი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლის სახელოვანი გზის მანათობელი.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,
უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭო,
უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამენ რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ღრმა მწუხარებას კაცობრიობის უდიდესი გენიის, ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია აზერბაიჯანელი ხალხისათვის. ამხანაგმა სტალინმა შექმნა და გამოზარდა აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია — ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უძველესი და ერთგული რაზმი. უშუალოდ ხელმძღვანელობდა რა რევოლუციურ მოძრაობას ბაქოში, ამხანაგი სტალინი აწრთობდა და ზრდიდა აზერბაიჯანის პროლეტარიატს და ყველა მშრომელს ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმური მეგობრობის სულისკვეთებით, რაზმავდა მათ მუშათა კლასის ყველა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. აზერბაიჯანელი ხალხი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავის განთავისუფლებას, თავის აღორძინებას, ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას უნდა უმადლოდეს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ყოველდღიურ ყურადღებასა და მამობრივ ზრუნვას.

ამ გლოვის დღეებში აზერბაიჯანის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ — სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. აზერბაიჯანის მშრომელები გამსჭვალული არიან უსაზღვრო ნდობით და ერთგულებით თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორისადმი.

სახელოვანი სტალინური ტრადიციების ერთგული აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია კვლავაც წმიდად დაიცავს ჩვენი პარტიის ერთიანობას, განამტკიცებს კავშირს მასებთან, აღზრდის რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას მაღალი რევოლუციური სიფხიზლის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიის, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სულისკვეთებით.

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი,
აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭო,
აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან

ჩვენს პარტიას, საბჭოთა კავშირის მშრომელებს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას თავს დაატყდა უდიდესი უბედურება — ჩვენგან წავიდა დიდი ბელადი და მასწავლებელი, გენიალური სტრატეგი და მშვიდობის მედროშე, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის ბედნიერი მომავლის იმედი, ძვირფასი სტალინი.

ამხანაგ სტალინის გარდაცვალება აუნაზღაურებელი, უმძიმესი დანაკლისია პარტიისათვის, საბჭოთა ქვეყნისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, რომლებისთვისაც არ არის უფრო ძვირფასი და მახლობელი, უფრო მშობლიური სახელი, ვიდრე ამხანაგ სტალინის სახელი.

თავზარდამცემმა ცნობამ ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ შეაძრწუნა ქუთაისის ოლქის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, გამოიწვია მშრომელთა უდიდესი გლოვა.

ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის ოლქის ისტორიის ყველაზე შესანიშნავი და სასახელო ფურცლები დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი იყო ქუთაისის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ამხანაგი სტალინი ქუთაისში, ჭიათურასა და სხვა ადგილებში აწყობდა დისკუსიებს, რომლებზეც მტკიცედ იცავდა ლენინის გეზს, ანადგურებდა მენშევიკებსა და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს. ლენინ — სტალინის დროშით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, მოიპოვა თავისუფლება და დაადგა ეროვნული და კულტურული აღორძინების ფართო გზას. ქუთაისის ოლქის სოფლებისა და ქალაქების განვითარება და აყვავება განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი საყვარელი სტალინის ნათელ სახელთან.

ქუთაისის ოლქის პარტიული ორგანიზაციები და მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გამოიჩენენ შეუდრეკელ ერთიანობას და ორგანიზებულობას, სულის სიმტკიცეს და მაღალ პოლიტიკურ სიფხიზლეს. მტკიცედ სწამთ რა დიდი სტალინის უკვდავი საქმის გამარჯვება, ოლქის მშრომელები არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა განახორციელონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების სტალინური პროგრამა.

მშობლიური და საყვარელი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ქუთაისის ოლქის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის გულში.

დაე გვფარავდეს და აღგვაფრთოვანებდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალ და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის დიდი სტალინის სახელი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
ქუთაისის საოლქო კომიტეტი,
ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების
საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამენ აფხაზეთის კომუნისტთა და ყველა მშრომელთა ღრმა მწუხარებას უდიდესი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდათ ჩვენს პარტიას და მთელ საბჭოთა ხალხს — კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

ცნობამ ამხანაგ სტალინის გარდაცვალების შესახებ აფხაზეთის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის უდიდესი მწუხარება გამოიწვია. დიდი სტალინის სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება და გამარჯვება.

ამხანაგ სტალინის მამობრივი ზრუნვის მეოხებით აფხაზეთის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის უმაგალითო აყვავებას.

აფხაზეთის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ამ გლოვის დღეებში ფიცს დებენ, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, კიდევ უფრო გააძლიერებენ რევოლუციურ სიფხიზლეს, გაორკეცებული ენერგიით იშრომებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აფხაზეთის მშრომელნი მტკიცე რწმენით წავლენ წინ, წმიდად შეასრულებენ ჩვენი ძვირფასი მამის, ბრძენი მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიად ანდერძს.

დიდი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იქნება საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის აღმაფრთოვანებელი დროშა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
აფხაზეთის საოლქო კომიტეტი,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის ორგანიზაცია და აჭარის ყველა მშრომელი ძლიერ დამწუხრებულნი არიან ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებით.

ცნობამ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ, სტალინისა, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე რევოლუციური ცხოვრება კომუნიზმის დიად საქმეს მოახმარა, საბჭოთა აჭარის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის უდიდესი მწუხარება და ღრმა გულისტკივილი გამოიწვია.

აჭარის მშრომელებს მუდამ ეხსომებათ, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, ახალგაზრდა სტალინმა პირველმა აღმართა ქალაქ ბათუმში, ისევე როგორც მთელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, კომუნიზმისათვის ბრძოლის უძლეველი დროშა.

ამ დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით აჭარის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მშრომელებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

ამ დიდი გლოვის დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მშრომელები, წმიდად იცავენ რა სტალინურ ტრადიციებს, კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, აძლიერებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, მთელ თავიანთ ძალებსა და შემოქმედებითს ენერგიას წარმართავენ კომუნისტურ მშენებლობაში ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

დიდი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა აჭარის მშრომელთა გულში, აღაფრთოვანებს მათ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო,
აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან

სამხრეთ ოსეთის პარტიულმა ორგანიზაციამ და ყველა მშრომელმა უსაზღვრო მწუხარებით და უდიდესი გულისტკივილით შეიტყეს, რომ გარდაიცვალა ლენინის უკვდავი საქმის ბრძენი განმგრძობი, საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი მამა, ბელადი და მასწავლებელი — ამხანაგი სტალინი.

დიდი უბედურება დაატყდათ თავს ჩვენს პარტიას, საბჭოთა ადამიანებს და მთელი მსოფლიოს მშრომელებს. ამ უმძიმეს დანაკლისს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მწვავედ განიცდიან სამხრეთ ოსეთის მშრომელებიც.

სამხრეთ ოსეთის მშრომელების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება, ყველაფერი, რითაც ამაყობს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი, განუყრელად დაკავშირებულია იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ძვირფას და მხურვალედ საყვარელ სახელთან.

სამხრეთ ოსეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ კარგად იციან, რომ საქმე, რომელსაც თავისი სიცოცხლე შესწირა ამხანაგმა სტალინმა, საიმედო ხელშია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელშია.

სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაცია და ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გააძლიერებენ სიფხიზლეს, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერგიის მობილიზაციას კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის შესასრულებლად, რომელიც დაგვისახა ამხანაგმა სტალინმა.

დიდი სტალინის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს სამხრეთ ოსეთის მშრომელთა გულში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი,
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის
მშრომელთა დეპუტატების საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი უღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ლენინის თანამებრძოლისა და მისი უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადის, მამისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

ცნობამ დიდი სტალინის გარდაცვალების შესახებ თავზარი დასცა ქალაქ თბილისის მშრომელებს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს. შეწყდა გულისცემა ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ნათელი გმირული ცხოვრება მოახმარა კომუნიზმის საქმისადმი უანგარო სამსახურს, კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლას.

სტალინის სახელი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე მახლობელია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის.

აქ, თბილისში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგმა სტალინმა დაიწყო თავისი მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა, აწყობდა ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც დიდმა სტალინმა შექმნა ნახევარი საუკუნის წინათ, მუდამ იქნება საქართველოს კომპარტიის ერთგული მოწინავე რაზმი, რომელიც განუხრელად განახორციელებს ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ყველა მითითებას.

ამ გლოვის მძიმე დღეებში საქართველოს დედაქალაქის კომუნისტები და ყველა მშრომელნი ფიცს დებენ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, განუწყვეტლივ ამაღლონ შეტევითი რევოლუციური სიფხიზლე, დაუცხრომლად იმუშაონ და ამრავლონ წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების იმ დიადი და ნათელი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც სტალინის გენიამ დაგვისახა.

სტალინის სახელი უკვდავია! იგი მარად იცოცხლებს და მარად აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს ხალხებს ყოველივე საუკეთესოს, ნათელისა და მოწინავისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის
თბილისის საქალაქო კომიტეტი,
თბილისის მშრომელთა დეპუტატების
საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

უდიდესი უბედურება დაატყდა თავს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, მთელი მსოფლიოს მშრომელებს — გარდაიცვალა კაცობრიობის გენიოსი, ლენინის საქმის დიდი განმგრძობი, მშრომელთა ბრძენი ბელადი, მამა და მასწავლებელი, საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დიდმა მწუხარებამ აღავსო ჩვენი გული. ყველა მშრომელთან ერთად საბჭოთა საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილები განიცდიან უმძიმეს დანაკლისს.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობა თავისი ცხოვრების მთელ ბედნიერებას უნდა უმადლოდეს კომუნისტურ პარტიას, პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლებსა და ხელმძღვანელებს — ლენინსა და სტალინს.

საბჭოთა ჭაბუკებისა და ქალიშვილების — დიდი ოქტომბრის შემდეგ დაბადებული ადამიანების შეგნებაში სტალინის ნათელი სახე ცხოვრების პირველი წლებიდანვე აღიბეჭდა. ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, არ არის უფრო ძვირფასი და მშობლიური სახელი, ვიდრე ამხანაგ სტალინის სახელი.

განაგრძო რა ლენინის უკვდავი საქმე, ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე, შეაიარაღა პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიადი და ნათელი პროგრამით.

ამხანაგ სტალინის გმირული ცხოვრება ხალხისადმი თავდადებული სამსახურის, სამშობლოსადმი, მშრომელთა ინტერესებისადმი, კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმისადმი უანგარო ერთგულების მკაფიო მაგალითია.

ყველაფერში ვგავდეთ ჩვენს დიდ მასწავლებელსა და ბელადს, ვცხოვრობდეთ, ვმუშაობდეთ და ვიბრძოდეთ ლენინურად, სტალინურად — ასეთია ჩვენი რესპუბლიკის თვითეული ჭაბუკის, თვითეული ქალიშვილის მხურვალე მისწრაფება.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა ამაყობს იმით, რომ აქ, საქართველოში, დაიბადა და ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა, აქ გამოვიდა პირველად რევოლუციური ბრძოლის გმირულ გზაზე.

საქართველოს კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა ამ გლოვის დღეებში დებენ წმიდა ფიცს, რომ კვლავაც იქნებიან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, მთელ სიცოცხლეს მოახმარენ ლენინ — სტალინის დიად საქმეს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოლებენ კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიას, რომ მუდამ იქნებიან ფხიზელნი, მტკიცენი, და შეურიგებელნი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს ახალგაზრდობა სამუდამოდ შეინახავს გულში მშობლიურ, საყვარელ ამხანაგ სტალინის უსაზღვროდ ძვირფას სახელს.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ქრონიკული ბიბლიოთეკა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

უკვდავია სტალინის სახელი

შეწყდა ჩვენი უსაყვარლესი ბელადის მაჯისცემა. გარდაიცვალა ჩვენი დიდება, ჩვენი მეგობარი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი, ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემქმნელი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი, უძლეველი სარდალი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მედროშე დიდი სტალინი.

გლოვობს სამშობლო. ძაძაში გახვეულა საყვარელი ადგილები. ყველგან მოჩანს შავარშიაშემოვლებული ძვირფასი ადამიანის სურათი, მწუხარების ნიშნად დახრილია შავლენტებიანი წითელი დროშები. თვალცრემლიანნი, უხმოდ მიდიან ქუჩებში ადამიანები. ყველას სახეზე აღბეჭდილია ღრმა მწუხარება.

გლოვობს ლენინ — სტალინის უძლეველი პარტია, გლოვობენ საბჭოთა კავშირის თავისუფალი ერები. ენით გამოუთქმელ მწუხარებას მოუცავს ყველას გული.

სტალინს გლოვობენ დიდი ჩინელი ხალხი, დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრული ერები, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

სტალინი. რაოდენ ძვირფასი და საყვარელია ეს სახელი. რამდენი სიყვარული და გრძნობაა ამ სიტყვაში ჩაქსოვილი, რამდენი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაა დაკავშირებული ამ სახელთან, რამდენი უკვდავი ნაწარმოების შთამაგონებელი წყაროა იგი...

სტალინი კვლავ ჩვენთან არის. ის ყოველთვის ჩვენთან იქნება. ის უკვდავია. სტალინის აზრები და გრძნობები ხალხის აზრები და გრძნობებია. იგი ისევე უკვდავია, როგორც ხალხი.

მართალია, უდიდესია ჩვენი მწუხარება, მაგრამ ჩვენ სასოწარკვეთილებას არ მივეცემით. სტალინს შრომა უყვარდა. სტალინს მომავლისათვის ბრძოლა უყვარდა. ამიტომ ჩვენც შევიშრობთ თვალებზე ცრემლს, კიდევ უფრო შევმჭიდროვდებით ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო, სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მტკიცედ, შეუდრეკლად შევასრულებთ ჩვენი პარტიის ყოველ დავალებას, ყოველ მოწოდებას.

ვიბრძოლოთ და ვიმუშაოთ ისე, როგორც გვასწავლიდა სტალინი, ვიაროთ მის მიერ ნაჩვენები გზით!

მოსე თოლიძე,
სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სტალინის საქმე ცოცხლობს

ხუთ მარტს 21 საათსა და 50 წუთზე სუნთქვა შეჩერდა... მაჯისცემა დაეცა... გულისცემა შეწყდა... იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი გარდაიცვალა...

რა არის ეს... მოლანდებაა თუ თავზარდამცემი სინამდვილე... მართლა თუ შეწყდა დიდი ადამიანის დიადი სიცოცხლე... ვერაგმა სიკვდილმა მართლა თუ გაიმარჯვა...

გლოვობს მთაწმინდა... გლოვობს ლიახვი... გლოვობს მთელი ჩვენი დიდი სამშობლო, გლოვობს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

არა! არ მომკვდარა... ცოცხალია ის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირა, ვისმა სამხედრო გენიამ სამშობლოში შემოსეული მრისხანე მტრის ურდოები გაანადგურა, ვინც კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ერებს თავისუფლების გზა გაუკაფა, ვინც პატარა, ჩაგრული ერების ნაციონალური კულტურა ააყვავა, ვისი სახელიც ერთა შორის მეგობრობის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მშვიდობისათვის ბრძოლის სიმბოლოა.

საბჭოთა მეცნიერები კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავიანთს რიგებს ლენინ — სტალინის დიადი პარტიის გარშემო, იბრძოლებენ მოწინავე საბჭოთა მეცნიერების განუხრელი შემდგომი აღმავლობისათვის.

ბელადის უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

მ. წინამძღვრიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

თვალწინ მიდგას ბელადის საყვარელი და ძვირფასი სახე

ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ აღარა გვყავს ჩვენი უახლოესი მეგობარი და ბრძენი მასწავლებელი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი.

ჩემს გულში სამუდამოდ არის აღბეჭდილი ის ისტორიული დღეები, როცა კრემლის დარბაზში, პარტიის XIX ყრილობაზე, რომლის დელეგატი მეც ვიყავი, ყრილობის მონაწილენი — დელეგატებიც და სტუმრებიც — ფეხზე ამდგარნი შეუწყვეტელი ტაშითა და ვაშას ძახილით შევხვდით მსოფლიოს მშრომელთა ბრძენ ბელადს, მშობლიურ სტალინს.

თვალწინ მიდგას ყრილობის დასკვნითი სხდომა. პრეზიდიუმში წამოდგა ამხანაგი სტალინი და დინჯი, მტკიცე ნაბიჯით გაემართა ტრიბუნისაკენ. იღიმებოდა, მშობლიური, ახლობელი. დიდხანს არ დაცხრა ტაში და ვაშა.

ბოლოს დარბაზში გაისმა მკაფიო, თბილი, გულშიჩამწვდომი ბრძნული სიტყვები...

როცა სტალინი რევოლუციის „დამკვრელ ბრიგადაზე“ ლაპარაკობდა, წუთით ჩვენი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, დიადი სტალინური ტრადიციების მქონე ქარხანა გამახსენდა. მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, თავისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში, თბილისელ მუშებს, რუსეთის რევოლუციის „დამკვრელი ბრიგადის“ ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, ბრძოლაში წინ მიუძღოდა ის ადამიანი, რომელიც ახლა ყრილობის ტრიბუნიდან ბრძოლისა და გამარჯვებათა ახალ პროგრამას გვისახავდა...

პირველ დღეს, როცა ამხანაგ სტალინის გარდაცვალების ამბავი გავიგე, თავზარი დამეცა. მკლავი აღარ მემორჩილებოდა, გამიჭირდა მუშაობა. მაგრამ ვძლიე სევდას. სტალინი ხომ მუდამ ახალი გამარჯვებებისაკენ მრგვიწოდებდა! და იმ დღეს სამი ნორმა შევასრულე. პირობა დავდე — წელს 2 წლისა და 8 თვის გეგმა გავანადღო.

მუდამ თვალწინ მიდგას მშობლიური ბელადის ნათელი, საყვარელი, ძვირფასი სახე. განუზომელია ჩვენი მწუხარება უმძიმესი დანაკლისის გამო. მაგრამ სტალინური იდეებით, პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი კიდევ უფრო მტკიცედ შევაკავშირებთ ჩვენს რიგებს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, უფრო მეტი თავდადებით ვიშრომებთ საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

კ. ილურიძე,
სტახანოველი მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ქართველ მეტალურგთა პიროგა

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები, რომლებზეც ქართველი მეტალურგები, მშენებლები და მემონტაჟეები გამოთქვამენ უდიდეს მწუხარებას მშობლიური ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო და იძლევიან მტკიცე სიტყვას კიდევ უფრო თავდადებით იმუშაონ დიდი სტალინის წინასწარდასახულობათა წარმატებით შესასრულებლად.

მარტენის საამქროს მუშა-მოსამსახურეთა სამგლოვიარო მიტინგი გახსნა საამქროს პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. შ. ანთელიძემ. მან თქვა:

— 5 მარტს შეწყდა ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის დიდი სტალინის გულისცემა... ჩვენი ქარხნის კოლექტივი, რომელიც დიდი ბელადის სახელს ატარებს, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პირობას დებს, რომ კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო და მთელი ენერგიით იშრომებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ტრიბუნაზეა ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატი ამხ. შ. კუხალეიშვილი. იგი ამბობს:

— დიდმა სტალინმა მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია მოახმარა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეს. ამის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის ინიციატივითა და ყოველდღიური დახმარებით რუსთავის უკაცრიელ ველზე ახალი მეტალურგიული ქალაქისა და მძლავრი მეტალურგიული გიგანტის აშენება. ჩვენ, ბელადის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეები, პირობას ვდებთ, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობის ტემპს და ყველაფერს გავაკეთებთ კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

სიტყვებით გამოდიან მარტენის საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. რეხვიაშვილი, საკაზმო განყოფილების ბრიგადირი ამხ. დ. ხვიჩია და სხვები. ისინი მოუწოდებენ მიტინგის მონაწილეებს უფრო მეტი თავდადებითა და ენერგიით იმუშაონ კომუნიზმის მშენებლობის სტალინური პროგრამის განსახორციელებლად.

ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები შედგა აგრეთვე ბლუმინგის, მილნამზადის, მილსაგლინავ და სხვა საამქროებში.

— კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიის გარშემო ჩვენი მამისა და მასწავლებლის საყვარელი სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად! — ასეთია ქართველ მეტალურგთა ერთსულოვანი პირობა.

გამოთხოვება

შავი არშია სურათს მიკვრია,
დროშას ავლია გლოვის არშია.
გულზე მიჯრილი მწარე ფიქრია,
მწარე ვარამი ყოველ სახლშია.
ცრემლი მდუღარე გულზე ცხელია,
ხალხში დაღვრილა სევდა ულევი.
სამშობლოს ცრემლი წმინდა ცრემლია,
თვალებს წყდება და გვეწვის გულები.
ყოველ ოჯახში მისი სითბოა,
ბრძენზე თქმულებაც დაპკრავს ზეპირი.
ჩვენი რიგებიც ისე მჭიდროა,
როგორც საბჭოთა საზღვრის ჯებირი.
ხუთი ხუთწლედის შუქი ანთია,
რისთვის დაუშვეს მთებმა ჩრდილები!..
ყარაულში დგას მთელი პარტია,
როგორც რჩეული სარდლის გმირები.
შრომის ზეიმში ყველა ჩაგვაბა,
თავზე დანათის კრემლის არილი.
წინ უკვდავების შარა გაკაფა
და ამ შარაზე მიდის სტალინი.
ომში ურიცხვი ღამე ათია,
გუშინ აანთო მთებზე პესები,
გული გადასცა მებრძოლ პარტიას
და მარადისი გადგა ფესვები.
მისი ფიქრები გაღმაც მკვიდრდება,
მამულს მომავლის შუქი არტყია.
ძმებო, სტალინის სახელს დიდება,
დიდებას ამბობს დიდი პარტია.
ბუკებს უკრავენ კრემლის კოშკები,
ფრთები დახრიათ მთებში არწივებს.
ძმებო, გაშალეთ ქვეყნის დროშები,
მთელი სამშობლო ბელადს აცილებს.
ეს განშორებაც სიცოცხლეს გავდეს,
მისი ცხოვრების მადლი გვიქია.
ბორის სახლიდან კრემლის კარამდე
ბრძოლით განვლილი წლები მიპკრიან...
შრომის ფერხულში ყველა ჩაგვაბა,
თავზე დანათის კრემლის არილი.
წინ უკვდავების შარა გაკაფა
და ამ შარაზე მიდის სტალინი.

სიმონ ჩიქოვანი.

დიდება ჩვენს მუდამ ელვარე მზეს!

ჩვენს ხალხს, მშრომელ კაცობრიობას თავს დაატყდა დიდი უბედურება. შეწყდა დიდი ბელადის, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ძვირფასი სიცოცხლე.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქვეყნიერებას, შეაშფოთა ქართველი ხალხის დედაქალაქიც. რამდენიმე დღეა, რაც თბილისი დუმს, მის გულს დიდი დარდი დაუფლებია...

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში სამგლოვიარო მიტინგი სასწრაფოდ შედგა. ინჟინრები და მუშები ერთიმეორეს ცვლიდნენ ტრიბუნაზე. უსაზღვრო მწუხარებასთან ერთად მათს სიტყვებში ჟღერდა საბჭოთა ხალხის მომავალ გამარჯვებათა ურყევი იმედი.

— ჩვენი ქარხანა, — ამბობდნენ ისინი, — ამაყობს იმით, რომ დიდი სტალინის სახელს ატარებს. ჩვენი ქარხანა ამაყობს იმით, რომ დიდმა სტალინმა რევოლუციური მოღვაწეობა აქ, ამ ქარხანაში დაიწყო. პირველი მარქსისტული წრეები მან პირველად აქ ჩამოაყალიბა აქ ასწავლიდა ჭაბუკი სტალინი ჩვენს მუშებს პროლეტარული რევოლუციის სტრატეგიას. ჩვენი ქარხნის მუშები, ინჟინრები ღრმა მწუხარებას განიცდიან, მაგრამ მომავალს მაინც იმედით შესცქერიან, რადგან ლენინ — სტალინის საქმე უკვდავია.

მაღალმთიან სოფელ ერედვის კოლმეურნეებმა, შეიტყეს თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, მაშინვე თავი მოიყარეს კლუბში.

— არა გვჯერა, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ჩვენთან აღარ არის, — თქვა სამამულო ომის მონაწილე კოლმეურნე გ. ბორცვაძემ. — ის ცოცხალი დგას ჩვენ თვალწინ. მისი უკვდავი სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში. ეს სამწუხარო დღეები კიდევ უფრო მჭიდროდ გვრაზმავს ჩვენი პარტიის ირგვლივ, იმ პარტიის ირგვლივ, რომელიც ლენინმა და სტალინმა შექმნეს. ჩვენი კოლმეურნეობა დიდი სტალინის სახელობისაა და მუდამ ეცდება, რომ ღირსეულად ატაროს ეს სახელი.

... ახლა, როცა მისი ძვირფასი ცხედარი კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ასვენია, როცა დილის ექვსი საათიდან ღამის ორ საათამდე განუწყვეტელ ნაკადად მიედინება მის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად ზღვა ხალხი, მისი სახელით აღფრთოვანებული — კორეელი ჯარისკაცი მედგრად უტევს მოსისხლე მტერს, სახეშეჭმუხვნილი, მაგრამ იმედის თვალით შესცქერის მომავალს ჩინელი, მთელი მოწინავე კაცობრიობა ფეხზე ოამდგარა და კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროებულა დიდი სტალინის მიერ ამართული მშვიდობის დროშის ირგვლივ.

მან, დიდი ლენინის დიდმა თანამებრძოლმა და მის დიად საქმეთა განმგრძობმა, სინამდვილედ აქცია ის, რაზეც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდა მშრომელი კაცობრიობა. მან მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლოატაცია, დაამყარა ხალხთა სტალინური მეგობრობა, ნაკარტუტად აქცია ჩვენს წინააღმდეგ დაძრული ფაშისტური უკუნეთი და ხალხს დიადი კომუნიზმის მზე აღმოუბრწყინა.

დიდება მას — ჩვენს მუდამ ელვარე მზეს!

დემნა შენგელაია.

ლენინ — სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქი გლოვობს. ყველა შენობაზე შავარშიანი დროშები და ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი ადამიანის — დიდი სტალინის პორტრეტებია. ყველა მაღაროსა და საწარმო-დაწესებულებაში გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები.

სტალინის სახელობის მაღაროს სტახანოველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ტ. ფოფხაძემ ყველა მშრომელის გულისთქმა გამოხატა, როცა განაცხადა:

— აღარა გვყავს საყვარელი მამა, მშობლიური და მხურვალედ საყვარელი დიდი სტალინი. ჯულისცემა შეწყვიტა საბჭოთა ხალხისა და მსოფლიო პროგრესული კაცობრიობის იმედმა და ნუგეშმა. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გავაძლიერებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, თავდადებულად ვიმუშავებთ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცის მოპოვებისათვის, რათა ამით ხელი შევუწყოთ იმ დიადი საქმის განხორციელებას, რომელსაც ასე უსაზღვრო თავდადებით ემსახურებოდა მშობლიური სტალინი.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს ძველმა მუშამ ამხ. ს. კაპანაძემ თქვა:

— უსაზღვროა ჩვენი გულისტკივილი და მწუხარება. ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა უდიდესი დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა მშრომელთა კეთილდღეობისათვის უანგარო მებრძოლი, მშვიდობის დიდი მედროშე, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი მშობლიური სტალინი. მაგონდება 1905 წლის ბობოქარი დღეები. მშობლიური სტალინი მაშინ ჩვენთან — ჭიათურელ მაღაროელებთან იყო, გვრაზმავდა და წინ მიგვიძღოდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

დიდია ჩვენი დანაკლისი. მაგრამ ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ არ შევუშინდეთ განსაკიდელსა და სიძნელეებს. გავაათკეცებთ ჩვენს ენერგიას, გავამახვილებთ რევოლუციურ სიფხიზლეს, თავდადებით ვიმუშავებთ დიდი სტალინის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

მაღაროელები ამ მძიმე და ღრმა მწუხარების დღეებში გამოთქვამენ მტკიცე და ურყევ გადაწყვეტილებას, რომ ფოლადისებურად შემჭიდროვდებიან ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური საბჭოთა მთავრობის გარშემო, გააძლიერებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, მისცემენ ჩვენს მეტალურგიას მეტ მარგანეცს, რათა კიდევ უფრო მძლავრი და უძლეველი გახდეს ჩვენი სამშობლო.

მშრომელთა დარაზმულობა და ერთიანობა

თელავი. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელთა შორის უსაზღვრო მწუხარება გამოიწვია ცნობამ მშრომელთა დიდი ბელადის, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ.

საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებში, ინსტიტუტებში, სკოლებში გაიმართა ხალხმრავალი სამგლოვიარო მიტინგები, რომლებზეც მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, მოსწავლეები ფიცს სდებენ, რათა ერთგულად ემსახურონ ლენინ — სტალინის დიად საქმეს.

თელავის აბრეშუმის ქაფსახვევი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა სამგლოვიარო მიტინგზე სტახანოველმა მუშამ ამხ. კომახიძემ თქვა:

— ჩვენმა საყვარელმა მამამ და მასწავლებელმა დიდმა სტალინმა საბჭოთა ადამიანებს ბედნიერი და საამური ცხოვრება შეუვიქმნა. ამხანაგ სტალინის გარდაცვალებით მძიმე დანაკლისი განვიცადეთ, მაგრამ ჩვენ სულით არ დავეცემით, გაათკეცებული ენერგიით ვიმუშავებთ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მე პირადად 30 პროცენტით გავადიდებ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

მეორე ბრიგადის ხელმძღვანელი გ. პოპოვა ამბობს:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მთელ სიკეთეს დიდ სტალინს ვუმადლით. მშობლიური სტალინის უკვდავ სახელს მუდამ გულით ვატარებთ. ჩემი ბრიგადის სახელით სიტყვას ვიძლევი, რომ ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით შევასრულებ.

წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის თელიანის აგროუბნის ხელმძღვანელმა დ. სავანელმა განაცხადა:

— მწუხარება, რომელსაც ჩვენ განვიცდით, განუზომელია. სტალინი მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი და ნუგეშია. ჩვენი პარტია მოგვიწოდებს კიდევ უფრო ენერგიულად ვიშრომოთ. პირობას ვიძლევი, რომ გასულ წელთან შედარებით ყურძნის მოსავლიანობას საშუალოდ ჰექტარზე 15 ცენტნერით გავადიდებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგ მაო ძე-დუნის წერილი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ნ. მ. შვერნიკისადმი

ამხანაგო შვერნიკ!

ჩინელმა ხალხმა, ჩინეთის მთავრობამ და პირადად მე უსაზღვრო მწუხარებით გავიგეთ ჩინელი ხალხის ყველაზე ძვირფასი მეგობრისა და დიდი მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარდაცვალება. ეს უდიდესი დანაკლისია არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ აგრეთვე ჩინელი ხალხისთვის, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებისთვის. ჩინელი ხალხის, ჩინეთის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით მინდა გადმოგცეთ თქვენ, საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას ჩემი უღრმესი სამძიმარი.

ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება სრულიად განუყრელად დაკავშირებულია მუდმივ ზრუნვასა, ხელმძღვანელობასა და დახმარებასთან, რომელსაც ამხანაგი სტალინი გვიწევდა უკანასკნელი 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამხანაგი სტალინი, დიდი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დიდსულოვან და უანგარო დახმარებას უწევდნენ ჩინელ ხალხს მის აღმშენებლობითს მუშაობაში. ჩინელ ხალხს მუდამ მადლობით ეხსომება ეს დიადი და ღრმა მეგობრობა, რომელსაც ამხანაგი სტალინი უწევდა ჩინელ ხალხს. ამხანაგ სტალინის ჩაუქრობელი ლამპარი მუდამ გააშუქებს გზას, რომლითაც მიდის ჩინელი ხალხი.

ამხანაგო თავმჯდომარევ! ლენინისა და სტალინის სახელოვანი პარტია, დიდი საბჭოთა ხალხი და საბჭოთა მთავრობა, უეჭველია, ძმურ მეგობრობას, მუდმივ ნდობასა და მხარდაჭერას პოულობენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ჩინელი ხალხისა და ჩინეთის მთავრობის მხრივ. ჩინელი ხალხი, უეჭველია, მუდამ და უაღრესად მტკიცედ იქნება დიდი საბჭოთა ხალხის გვერდით, გააძლიერებს და განამტკიცებს მშვიდობისა და დემოკრატიის მსოფლიო ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, გააძლიერებს თავის სიფხიზლეს, გაარკვევს თავის ღონისძიებებს ომის პროვოკატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ბოლომდე იბრძოლებს საბჭოთა და ჩინელი ხალხების ძირითადი ინტერესებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელი, მთელი მშვიდობისმოყვარე პროგრესული კაცობრიობა ჩვენთან ერთად ივლის ამხანაგ სტალინის მიერ ნაჩვენები გზით და თავის ხელში აიღებს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების წმიდა საქმეს.

მაო ძე-დუნი.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ძვირფასო ამხანაგებო,

უსაზღვრო მწუხარებით გაიგო რუმინელმა ხალხმა, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ლენინის თანამებრძოლი და მისი საქმის გენიალური განმგრძობი — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

რუმინელი ხალხი სულითა და გულით იზიარებს საბჭოთა ხალხის დიდ მწუხარებას. რუმინელი ხალხის სახელით რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმი უცხადებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სრულ სოლიდარობას მოძმე საბჭოთა ხალხთან, რომელმაც ამხანაგ სტალინის სახით დაკარგა თავისი ბრძენი ბელადი, ისტორიულ გამარჯვებათა ორგანიზატორი.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალება თანაბრად უმძიმესი დანაკლისია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის. ლენინთან ერთად ამხანაგმა სტალინმა სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის ბრძოლის გზა გაუნათა მთელი მსოფლიოს მშრომელებს. ამხანაგი სტალინი იყო გენიალური მხედართმთავარი, რომელმაც იხსნა კაცობრიობა ფაშისტური მონობისაგან, იყო მშვიდობისათვის ბრძოლის მედროშე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მშრომელთა საქმეს, ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობის საქმეს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გული აღსავსეა მხურვალე მადლიერებით ამხანაგ სტალინისადმი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა გაათავისუფლა იმპერიალისტური ბორკილებისაგან, მამობრივ დახმარებას უწევდა ჩვენს ხალხს უაღრესად მძიმე მომენტებში და უჩვენა ჩვენი ქვეყნის ხალხს სოციალიზმის აშენების ნათელი გზა. რუმინელ ხალხს ამხანაგი სტალინი თავის საუკეთესო და ძვირფას მეგობრად, თავის ბრძენ მასწავლებლად და მამად მიაჩნდა. ასეა ამხანაგი სტალინი სამარადისოდ აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ხსოვნაში.

ჩვენი პარტიის წევრებსა და მთელ ჩვენს ხალხს შეგნებული აქვთ, რომ მთელ მიღწევებს უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ ჩვენ ვეყრდნობით კომუნიზმის მშენებელი დიდი საბჭოთა ხალხის მეგობრობასა და ძმურ დახმარებას.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები გამსჭვალული არიან მტკიცე გადაწყვეტილებით მომავალშიც იყვნენ ლენინ — სტალინის საქმის ერთგულნი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ პარტიის დროშის, ლენინ — სტალინის დროშის გარშემო, კიდევ უფრო განამტკიცონ სამარადისო ურღვევი მეგობრობა დიდ საბჭოთა კავშირთან.

მილიონობით მამაკაცი და ქალი — ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, მშრომელი გლეხები, ინტელიგენცია, ჩვენი შეიარაღებული ძალების მეომრები დაუცხრომლად გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარებისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის. ეროვნულ უმცირესობებთან ძმური თანამშრომლობით რუმინელი ხალხი მომავალშიც ენთუზიაზმით იშრომებს ქარხნებში, ფაბრიკებსა და მახტებში, მინდვრებში, სკოლებსა და ლაბორატორიებში, რათა უზრუნველყოს სოციალიზმის სრული გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირით ჩვენ დაუცხრომლად ვიმუშავებთ, რათა ხელი შევუწყოთ ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეს. ჩვენ განუწყვეტლივ განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობას, რათა შევძლოთ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ აგრესიის ყოველ ცდას ჩვენი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ჩვენ ვისწავლით საბჭოთა კავშირის უძლეველი კომუნისტური პარტიისაგან, ლენინ — სტალინის პარტიისაგან, თუ როგორ დავიცვათ თვალისჩინივით და მუდამ განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის ერთიანობა, ხალხთა დარაზმულობა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გარშემო, დაუცხრომლად გავაძლიეროთ სიფხიზლე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შინაური და გარეშე მტრების ყოველგვარი ხრიკების მიმართ, გავაძლიეროთ შეურიგებლობა მტრისადმი.

გენიალური სტალინური მოძღვრება და მშრომელთა ბრძენი მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მთელი მსოფლიოს მილიონობით მშრომელთა შეგნებაში, რომელთაც აღაფრთოვანებს სტალინის დიადი იდეები და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვების ურყევი რწმენა.

სამარადისო დიდება პროგრესული კაცობრიობის დიდ გენიოსს, მშრომელთა საყვარელ მამას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს!

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელით ბ. დეჟე.
დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის სახელით დოქტორი პ. ბრუზა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ჰელსინკი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და მთელი უნგრელი ხალხი ღრმა მწუხარებითა და ძმური თანაგრძნობით იზიარებენ დიდი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო გულისტკივილს. დიდი სტალინის გარდაცვალებამ უნგრელ ხალხს წაართვა მისი მხურვალედ საყვარელი მასწავლებელი, რომელსაც ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს იმას, რომ, დაიწყო რა ახალი თავისუფალი ცხოვრება, დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას. საერთო მწუხარება კიდევ უფრო მტკიცედ ამჭიდროებს ჩვენს ურღვევ ძმურ ერთიანობას კაცობრიობის სათავეში მდგომ საბჭოთა ხალხთან და მშვიდობის მძლავრ მსოფლიო ბანაკთან. ამხანაგ სტალინის უკვდავ ნაწარმოებებში ჩვენ ვპოვებთ ძალას ჩვენი შემდგომი მუშაობისა და ბრძოლისათვის, რათა ჩვენი განმათავისუფლებელი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით სრულ გამარჯვებამდე მივიყვანოთ სოციალიზმის საქმე.

მატიას რაკოში.
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ დიპლომატიური კორპუსი და მოსკოვში მყოფ უცხოეთის დელეგაციათა მეთაურები

7 მარტს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოვიდნენ მოსკოვში მყოფი ყველა საელჩოს და მისიის მეთაურები, წევრები და თანამშრომლები, აგრეთვე მოსკოვში მყოფ უცხოეთის დელეგაციათა მეთაურები.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მოსვლისას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის კუბო გვირგვინებით შეამკეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, არგენტინის რესპუბლიკის საელჩოებმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურმა მისიამ, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მისიამ, შვეიცარიის მისიამ. (საკდესი).

დიპლომატიური კორპუსის სამძიმარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით თავიანთი მთავრობების სახელით და პირადად თავიანთი სახელით სამძიმარი განაცხადეს საელჩოებისა და მისიების შემდეგმა მეთაურებმა:

შვეიცის ელჩმა რ. სულმანმა, ირანის ელჩმა ნ. არასტემ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ს. ბლაგოევამ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ა. სკლადანმა, ბირმის კავშირის ელჩმა მ. ონმა, დიდი ბრიტანეთის ელჩმა ა. გასკოინმა, ნორვეგიის ელჩმა ი. შივემ, ბელგიის ელჩმა ა. უოტერსმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩმა ნგუენ ლონგ ბანგმა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა მ. დალიამ, საფრანგეთის ელჩმა ლ. ჟოკსმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ვ. ლევიკოვსკიმ, თურქეთის ელჩმა ფ. ხოზარამა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩმა ი. ვოშაგლიკმა, არგენტინის რესპუბლიკის ელჩმა ლ. ბრავომ, ფინეთის დესპანმა კ. სუნდსტრემმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანმა ვ. ნატანაილიმ, დანიის დესპანმა ხ. ხერგელმა, შვეიცარიის დესპანმა კ. გორტემ, ეთიოპიის დესპანმა ბ. ზალაკამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გე ბაო-ციუანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დ. ადილბაშმა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ბან სინ დიკმა, ინდოეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა რ. სატხემ, მექსიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა რ. ალმანსა გორდოამ, ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ჯ. ბიმმა, ავღანეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა მუჰამედ აშრაფ ხანმა, ავსტრალიის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ჯ. მაკმილანმა, საბერძნეთის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ფ. იასილანტიმ, კანადის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ე. ბლეკმა, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა დ. დე როო ვან ალდერვერელტმა, პაკისტანის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა მ. ბეიგმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა კ. ზეიცმა, ეგვიპტის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ო. შარაფმა, ერაყის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ჯ. ჯაფმა, ლიბანის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ა. ნაჯარმა, სირიის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ა. აზჰარიმ, ტაილანდის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ა. ბუბხავესამ. (საკდესი).

უცხოეთის დელეგაციების მეთაურთა სამძიმარი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეწვიენ და სამძიმარი გამოუცხადეს მოსკოვში მყოფი უცხოეთის დელეგაციების შემდეგმა მეთაურებმა:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რ. დამიანოვმა,

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. კოლეკამ,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლი ფუ-ჩუნმა,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციულ საბჭოსთან არსებული საფინანსო-ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ე ძი-ჯუანმა,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ მ. კონსტანტინესკუმ,

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ბირლედანუმ,

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. სობეკმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო და შინაგერმანიის ვაჭრობის მინისტრმა კ. გრეგორმა,

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა რ. დვორჟაკმა,

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა კ. დომბროვსკიმ.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა ა. კელეზიმ. (საკდესი).

მსოფლიოს ხალხები გლოვობენ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო

ჩინეთი

პეკინი. 6 მარტი. (საკდესი). ცნობამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ მთელი ჩინელი ხალხის აუწერელი მწუხარება გამოიწვია. პეკინში ხალხი ქუჩებში გამოვიდა, ყველგან ადამიანთა უდიდესი მასებია.

პეკინში დიდი გლოვაა. დახრილია სახელმწიფო ალმები.

ჩინელი ხალხის საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინის გარდაცვალებით ღრმად დამწუხრებული პეკინის ათასობით მშრომელი განუწყვეტელ ნაკადად მიდის საბჭოთა საელჩოში. აქ შავ კრეპში ჩასმულია დიდი სტალინის პორტრეტი, რომელსაც შემოვლებული აქვს ყოველი მხრიდან გამოგზავნილი ყვავილები.

მწუხარე დუმილით შედიან დარბაზში და ჩაუვლიან პორტრეტს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური სახალხო მთავრობის წევრები, მინისტრები, დემოკრატიული პარტიების, საზოგადოებრივი, კულტურული და ახალგაზრდათა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პეკინის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები და ოფიცრები, სტუდენტები. მოსწავლეები, ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები. საბჭოთა საელჩოს ეწვიენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები თავმჯდომარე მაო ძე-დუნის მეთაურობით, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვალსაჩინო სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. საბჭოთა საელჩოს ჩინეთის ყველა ქალაქიდან მოსდის უამრავი დეპეშა, რომლებშიც გამოთქმულია დიდი მწუხარება და თანაგრძნობა საბჭოთა ხალხისადმი.

ბევრმა, ვინც დღეს იყო საბჭოთა საელჩოში, დატოვა თავისი ჩანაწერი, რომელშიც გამოთქვამენ მწუხარებას დიდი სტალინის გარდაცვალების გამო და მზადყოფნას კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ საბჭოთა ხალხთან ერთად მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო" მოწინავე სტატიაში „ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებო, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმეთ!" წერს: „ჩვენ მტკიცედ გვაქვს შეგნებული, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი ერთიანობა ჩვენ მიერ მოპოვებული ყველა ისტორიული გამარჯვების დაუშრეტელი წყაროა. ჩვენი პარტია ასწავლის ჩვენს ხალხს, რომ მუდამ ბაძავდეს საბჭოთა ხალხს, რომელსაც წინ უძღვის ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ჩვენ უნდა ვიყოთ კიდევ უფრო დარაზმულნი, ფხიზელნი და ბრძოლაში მედგარნი. მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ რევოლუციისა და მშენებლობის გრანდიოზული და ძნელი ამოცანების შესრულებას.

ჩვენი პარტია და ჩინელი ხალხი. ეჰვი არ არის, მუდამ იქნებიან ლენინ — სტალინის პარტიასა და საბჭოთა ხალხთან ერთად. ჩვენ მთელ ძალებს მოვახმართ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეს, რათა ეს ორი სახელმწიფო კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს ორივე ქვეყნის ხალხთა საერთო საქმისათვის ბრძოლაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში".

პეკინი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ეწვია საბჭოთა საელჩოს, რათა სამძიმარი გამოეცხადებინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო.

მაო ძე-დუნმა სთხოვა ელჩ ა. ს. პანიუშკინს გაგზავნოს მოსკოვში მისი უდიდესი სამძიმარი და გადასცეს ჩინელი ხალხის, ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის მთავრობის უსაზღვრო პატივისცემა ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი — ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადისა და ჩინელი ხალხის ყველაზე საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლისადმი.

თავმჯდომარე მაო ძე-დუნს თან ახლდნენ ამხანაგები ჯუ დე, ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

პეკინი, 7 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტომ გადასცა ცენტრალური სახალხო მთავრობის ბრძანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს მაო ძე-დუნი, მთელ ჩინეთში 7-9 მარტს გამოცხადებულია გლოვა.

კოლონეთი

ვარშავა, 7 მარტი. (საკდესი). გუშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბოლესლავ ბერუტის თავმჯდომარეობით გაიმართა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ბრძანებიდან, რომელსაც ხელს აწერს მაო ძე-დუნი, მთელ ჩინეთში 7-9 მარტს გამოცხადებულია გლოვა.

ბულგარეთი

სოფია, 6 მარტი. (საკდესი). დღეს ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს, სახალხო კრების პრეზიდიუმისა და სამამართველო ფრონტის ეროვნული საბჭოს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის.

დიდი გრძნობით ლაპარაკობს შემდეგ ბელგრადი წარჩინებული ბრიგადირი ზიგმუნდ პავლოვსკი იმ უდიდეს დახმარებაზე, რომელიც საბჭოთა ხალხმა და პირადად იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა გაუწიეს პოლონელ ხალხს. ამ დახმარებას, ამბობს იგი, ჩვენ ვგრძნობდით არა მარტო ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების პერიოდში, არამედ ყოველდღიურად ვგრძნობთ ამჟამადაც.

მრავალი მიტინგი გაიმართა აგრეთვე პოლონეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

ვარშავა, 7 მარტი. (საკდესი). პოლონეთის დეკანოზთა საგენტომ გამოაქვეყნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის კ. როკოსოვსკის ბრძანება. ბრძანებაში, კერძოდ, ნათქვამია:

დიდ სტალინს პოლონელი ხალხი უნდა უმადლოდეს თავის განთავისუფლებას ფაშისტური ოკუპაციისაგან, პოლონეთის ძველი მიწაწყალის დაბრუნებას და იმას, რომ მას საშუალება მიეცა აშენოს მშვენიერი, ბედნიერი მომავალი.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი იდეები მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში და აღგვაფრთოვანებს შემდგომ გამარჯვებათა მისაღწევად მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში!

გულგარეთი

სოფია, 6 მარტი. (საკდესი). დღეს ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს, სახალხო კრების პრეზიდიუმისა და სამამართველო ფრონტის ეროვნული საბჭოს მიერ მოპოვებული ყველა ისტორიული გამარჯვების დაუშრეტელი წყაროა. ჩვენი პარტია ასწავლის ჩვენს ხალხს, რომ მუდამ ბაძავდეს საბჭოთა ხალხს, რომელსაც წინ უძღვის ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი და გამოზრდილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ჩვენ უნდა ვიყოთ კიდევ უფრო დარაზმულნი, ფხიზელნი და ბრძოლაში მედგარნი. მთელი ძალღონე უნდა მოვახმაროთ რევოლუციისა და მშენებლობის გრანდიოზული და ძნელი ამოცანების შესრულებას.

ჩვენი პარტია და ჩინელი ხალხი. ეჰვი არ არის, მუდამ იქნებიან ლენინ — სტალინის პარტიასა და საბჭოთა ხალხთან ერთად. ჩვენ მთელ ძალებს მოვახმართ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეს, რათა ეს ორი სახელმწიფო კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს ორივე ქვეყნის ხალხთა საერთო საქმისათვის ბრძოლაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში".

პეკინი, 7 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ თავმჯდომარე მაო ძე-დუნი ეწვია საბჭოთა საელჩოს, რათა სამძიმარი გამოეცხადებინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების გამო.

„...კაშკაშა სინათლით ბრწყინავს და მუდამაც იბრწყინებს საბჭოთა ხალხებისა და მთელი კაცობრიობის ისტორიაში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დიადი სახელი და დიადი საქმე.

ზვავივ ჩვენგან საყვარელი და მშობლიური მასწავლებელი, ბელადი და მამა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, რომელსაც ბულგარელი ხალხი უნდა უმადლოდეს თავის განთავისუფლებას ფაშიზმისა და კაპიტალისტური ბატონობისაგან, თავის როგორც ერის თავისუფალ არსებობას.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ზრდა ჩვენი პარტიის როგორც ბოლშევიკური პარტიისა, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის მუშათა და მშრომელთა სახელოვანი ბრძოლის, ბულგარეთში სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისა.

მხოლოდ ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის დახმარებით და ამხანაგ სტალინის მხარდაჭერის მეოხებით შეძლო ჩვენმა ხალხმა გამკლავებოდა ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა შემოტევას, შეენარჩუნებინა თავისი ტერიტორიის მთლიანობა, აღედგინა თავისი მეურნეობა და გაბედულად წასულიყო წინ სოციალისტური მშენებლობის გზით. ამხანაგი სტალინი რომ არა, საბჭოთა კავშირი და მისი ძმური დახმარება რომ არა, ჩვენ ვერ შეეძლებოდით შეგვესრულებინა პირველი ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში, ვერ შეეძლებოდით დღეს კიდევ უფრო მეტი რწმენით შეგდგომოდით ჩვენი ახალი ხუთწლედის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, სახალხო არმია, მთელი ბულგარელი ხალხი განიცდიან უდიდეს მწუხარებას, რაც გამოიწვია დიდი ბელადისა და მასწავლებლის, საუკეთესო მეგობრისა და დამცველის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებამ.

ამ მძიმე დღეებში ჩვენი ხალხი კიდევ უფრო მეტი ძალით განამტკიცებს ურღვევ მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან, რაც აუცილებელია ჩვენთვის, როგორც ჰაერი და მზე ყოველი ცოცხალი არსებისათვის.

ამ მძიმე დღეებში ბულგარელი ხალხი კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმება ლენინურ-სტალინური სულისკვეთებით აღზრდილი და გამობრძმედილი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ეროვნულ ერთიანობას სამამულო ფრონტში, მტკიცე ნაბიჯით მიდის და გასწევს წინ საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის გზით — ამხანაგ სტალინის გენიით გაჩირაღდნებული გზით.

ჩვენი ძალა და უძლეველობაა ჩვენი ხალხის რკინისებური ერთიანობა და დარაზმულობა, მისი მზარდი სიფხიზლე, მისი ურყევი გადაწყვეტილება — ებრძოლოს სოციალიზმი და დაიცვას მშვიდობის საქმე ყოველგვარ პირობებში, ჩვენი ძალა და უძლეველობაა ძმური მეგობრობა და ურყევი კავშირი საბჭოთა ხალხებთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

ამხანაგ სტალინის სახელი მუდამ იცოცხლებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა გულში, შთააგონებს და ფრთებს შეასხამს ჩვენს ხალხს თავისი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში".

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 6 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ხალხი მძიმედ განიცდის დიდ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს და მთელ პროგრესულ კაცობრიობას.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელნი ღრმად დამწუხრებული არიან იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

გაზეთმა „რუდე პრავომ" და სხვა ცენტრალურმა გაზეთებმა მოთავსესს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პორტრეტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა, სამედიცინო დასკვნა ი. ბ. სტალინის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შესახებ.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ჩეხოსლოვაკიას. ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში იმართება სამგლოვიარო მიტინგები.

დღეს გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის გაერთიანებული საგანგებო სხდომა. სხდომაზე იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამძიმრის დეპეშა გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

სხდომაზე მიღებულ იქნა აგრეთვე ტექსტი მიმართვისა პარტიის წევრების და რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი. მიღებულია დადგენილება — მთელ ჩეხოსლოვაკიაში გამოცხადდეს ეროვნული გლოვა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხსოვნის აღსანიშნავად.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 5 მარტი. (საკდესი). უნგრეთის მშრომელნი ურღმესი მწუხარებით შეხვდნენ ცნობას უნგრელი ხალხის დიდი მეგობრისა და განმათავისუფლებლის, მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადის ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შესახებ. საწარმოებში იმართება სამგლოვიარო მიტინგები. ბუდაპეშტის ქუჩებში გამოკიდებულია სამგლოვიარო ალმები.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხის მხარდამხარ, წერს გაზეთი „საბად ნეპი", თავისი განმათავისუფლებლისა და დიდი მეგობრის კუბოსთან გულისტკივილით დგას მთელი უნგრელი ხალხი. ჩვენი ხალხის მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა არც ერთი ისეთი ადამიანი, რომელსაც ისე ბევრი რამ გაეკეთებინოს უნგრელი ხალხისათვის, როგორც გააკეთა დიდმა სტალინმა; რომელიც ისეთი ზრუნვით დახმარებოდეს ჩვენს ქვეყანას უაღრესად მძიმე განსაცდელის ჟამს და რომელსაც ისეთი სიყვარულით მოეკლოს უნგრელი ხალხის ახალი ცხოვრების ყლორტებისათვის, როგორც ამას აკეთებდა ამხანაგი სტალინი უნგრეთის განთავისუფლების დროიდან განვლილი ყველა წლის მანძილზე.

პირობას გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, ვიყოთ მუდამ შენი ერთგული მეომრები, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს შრომისმოყვარე და თავდადებული შვილები, სამშობლოსი, რომელიც გაათავისუფლე და რომელსაც მხარი დაუჭირე, ვიყოთ მშვიდობის დიადი საქმისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლნი.

რუმინეთი

ბუქარესტი, 6 მარტი. (საკდესი). დღევანდელი გაზეთები აქვეყნებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების შესახებ.

რუმინელი ხალხისათვის, წერს გაზეთი „სკინტეია", ი. ბ. სტალინი არის საყვარელი მეგობარი, განმათავისუფლებელი, ისეთი ადამიანი, რომელმაც მას გაუხსნა ბედნიერების გზა, მამობრივი მზრუნველობით ეხმარებოდა ახალი სოციალისტური ცხოვრების აშენებაში. უდიდესი მწუხარების დღეებში ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, მათ შორის რუმინელი ხალხიც რუმინეთის მუშაა პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს ლენინ — სტალინის უძლეველი დროშის გარშემო, აძლიერებს თავის დარაზმულობასა და ერთიანობას, სიფხიზლეს, საბრძოლო მზადყოფნას — განამტკიცოს სოციალიზმისა და მშვიდობის ძალები, რომელებსაც სათავეში ედგას საბჭოთა ხალხი, ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელოვანი, ნაცადი და უძლეველი კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირისა, ლენინმა და სტალინმა რომ შექმნეს, გამოზარდეს და გამოაწრთეს.

რუმინელ ხალხს თავის უმაღლეს პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია გააორკეცოს ღონისძიებანი და ენერგია სოციალიზმის მშენებლობაში, შეიძინოს გამოცდილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უსაზღვრო საგანძურიდან, თვალსაჩინივით იცავდეს და ვუდამ განამტკიცებდეს ურღვევ მეგობრობას დიდ საბჭოთა ხალხთან.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში სამგლოვიარო მიტინგები იმართება.

ალბანეთი

ტირანა, 6 მარტი. (საკდესი). ალბანელი ხალხი დიდი გლოვით შეხვდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების სამწუხარო ამბავს.

მთელ ალბანეთში გამოცხადებულია საყოველთაო-სახალხო გლოვა.

ტირანის რადიო განუწყვეტლივ გადასცემდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვას, ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და სახალხო კრების პრეზიდიუმის მიმართვას. მშრომელები საპატიო ყარაულში დგანან ი. ბ. სტალინის მონუმენტების ახლოს, რომელთა გარშემო ასობით ადამიანი იკრიბება. ისინი ფიცსა დებენ მუდამ დაიცვან სტალინის მოძღვრება, განამტკიცონ მეგობრობა საბჭოთა ხალხთან, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ალბანეთის შრომის პარტიის გარშემო და განუხრელად ახორციელონ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ანდერძი.

დღეს ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრებმა ამხანაგ ენვერ ხოჯას მეთაურობით და სახალხო კრების პრეზიდიუმის წევრებმა ომერ ნიშანის მეთაურობით ინახულეს სსრ კავშირის მისია.

ამხანაგმა ენვერ ხოჯამ ცენტრალური კომიტეტის, მთავრობისა და სახალხო კრების პრეზიდიუმის სახელით გამოთქვა ალბანელი ხალხის უდიდესი მწუხარება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხების სახელოვანი ხელმძღვანელის, ლენინის უახლოესი თანამებრძოლის, ალბანელი ხალხისა და მსოფლიოს ყველა ხალხის მხსნელისა და დამცველის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარდაცვალების გამო.

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და სახალხო კრების პრეზიდიუმმა გაანაცხადეს ალბანელი ხალხის ერთგულება საბჭოთა ხალხებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, რომელებთანაც ალბანელი ხალხი დაკავშირებულია ურღვევი მეგობრობით.

მუშების, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეების მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მრავალი დელეგაცია მიდის საბჭოთა კავშირის მისიაში.

დღეს გაიმართა ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.

სხდომაზე მიღებულ მიმართვაში ნათქვამია:

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმი უდიდესი მწუხარებით და გულისტკივილით აუწყებენ პარტიასა და მთელ ალბანელ ხალხს, რომ 5 მარტს საღამოს 9 საათსა და 50 წუთზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

უდიდესი, უბედურება ეწია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მოძმე საბჭოთა ხალხს, მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას, მათ შორის ჩვენს პარტიასა და მთელ ჩვენს ხალხს. ჩვენი მშრომელების გული, ისევე როგორც საბჭოთა მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის გული, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელთა გული, უდიდეს ტკივილს განიცდის ყველაზე საყვარელი ადამიანის დაკარგვის გამო, ლენინის თანამოსაგრისა და მისი საქმის გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის, მთელი კაცობრიობის დიდი მასწავლებლის, ჩვენი ხალხის ყველაზე ძვირფასი მეგობრის დაკარგვის გამო.

სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხისათვის. სტალინის სახელი განასახიერებს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას, ცხოვრებასა და მომავალს. სტალინის სახელი არის სიმბოლო ურღვევი და მარადიული მეგობრობისა, რომელიც ჩვენს ხალხს აკავშირებს სსრ კავშირის მოძმე ხალხებთან. სტალინის სახელი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სიმბოლოა.

სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება მთელ ალბანეთში ეროვნული გლოვის გამოცხადების შესახებ.

გერმანია

ბერლინი, 6 მარტი. (საკდესი). ამხანაგ ი. ბ. სტალინის გარდაცვალების ამბავმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დიდი მწუხარება გამოიწვია. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, სასოფლო თემებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც იღებენ წერილებსა და დეპეშებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის, აგრეთვე გერმანიაში ხაბჭოთა საკონტროლო კომისიის მისამართით. ამ წერილებსა